გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის ნაკლოვანებების შეფასება ზოგიერთი მიმდინარე პროექტის მაგალითზე

ნინო შუშტაკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობა MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა

(ბუნებათსარგებლობა MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

საქართველოში დაგეგმილი ჰიდროპროექტების რაოდენობისა და მასშტაბიდან გამომდინარე, ძალზე დიდი მნიშვნელოვაბა აქვს, თუ რამდენად სრულყოფილად ფუნქციონირებს გზშ სისტემა.

ამ მიზნით ჩვენი კვლევითი ანგარიშისათვის შერჩეული იქნა სამი პროექტი: ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგზე მიმდინარე „ლარსის ჰესის“ პროექტი; ასევე იმავე რაიონში, მდინარე ხდისწყალზე (იგივე ბროლისწყალი, ქისტურა) მშენებარე
„ყაზბეგი ჰესთან“ დაკავშირებული ორი გზშ ანგარიში და მასთან დაკავშირებით გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნები. “ლარსი ჰესის“ პროექტთან დაკავშირებით ჩვენს მიზანს წარმოადგენდა დადგვედგინა, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების (რომელიც ამავდროულად წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის პირობების განუყოფელ ნაწილს) შესრულების მდგომარეობა. რაც შეეხება 6 მეგავატიან „ყაზბეგი ჰესს“, ამ პროექტთან დაკავშირებით მომზადებულია ორი გზშ ანგარიში. პირველ მათგანზე 2013 წლის მარტში გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, გაგვენალიზებინა ორივე დასკვნის გაცემის, როგორც გზშ-ს საკვანძო ნაწილის, პროცესი. წინამდებარე კვლევითი ანგარიშის მომზადებისათვის ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ამ პროექტებთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაცია და სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევები. გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, შედგა ინტერვიუები საჯარო მოხელეებთან და ექსპერტებთან.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღეთ დასკვნა, რომ გზშ სისტემა საქართველოში არაეფექტურად მუშაობს.
კვლევის შედეგებს და დასკვნებს დაწვრილებით იხილავთ წინამდებარე ანგარიშში.